ახალი ხარაგაული

№419 (10) 20 აგვისტო, 2020 წ.

„ეზაფ ვარ, ჩემი ცოდნა და გამოცდილება ხარაგაულის განვითარებას მოვასმარო“

მე-9 მოწვევის საკანონმდებლო ორგანო საქმიანობას მიმდინარე წლის ოქტომბერში დაასრულებს. ახალი მოწვევის პარლამენტი კი განსხვავებული ფორმატით დაკომპლექტდება, რაც იმას გულისხმობს, რომ 120 დეპუტატი პროპორციული წესით იქნება არჩეული, 30 კი - მაჟორიტარულით. როგორ აფასებს ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი ოთხწლიან საქმიანობას, როგორია მისი სამომავლო ხედვა და რა საკითხების მოგვარება შეძლო მუნიციპალიტეტისათვის - ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე კობა ლურსმანაშვილს პირადად ვესაუბრეთ.

- რომელ კანონპროექტებს გამოყოფდით, რომელთა განხილვაში პარლამენტში აქტიურად მიიღეთ მონაწილეობა?

-პირველ რიგში -ტყის კოდექსს, რომელიც ტყის რესურსის მართვის სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებს და ფუნდამენტურად ცვლის მოქალაქეების შესაძლებლობებს. ახლო მომავალში ნებისმიერ პირს ექნება საშუალება, ე.წ. „საქმიან ეზოებში“ გამოტანილი სამასალე ხე-ტყე, მინიმალურ ფასებში, აუქციონის ან პირდაპირი შესყიდვის წესით შეიძინოს. მერქნის დამზადებას სატყეო სააგენტო თავად უზრუნველყოფს. ხარაგაულში ძალიან ბევრი მეწარმე ავეჯის დამზადებით იყო დაკავებული, თუმცა, გარკვეული რეგულაციების გამო, მათ ხელი შეეშალათ. დღეს კი გაჩნდა შესაძლებლობა, კვლავ დაგეგმონ სხვადასხვა ბიზნეს აქტივობა. ჩემი ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება, სწორედ ტყის კოდექსში ცვლილებების განხორციელება იყო და ამაყი ვარ, რომ ეს პირობა შევასრულე.

ასევე გამარტივდა მიწისქვეშა გრუნტის წყლებზე ლიცენზიების მოპოვება, რაც მომავალში ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას და ამ სფეროში დასაქმებულთა შრომა უფრო პროდუქტიული გახდება. ვფიქრობ, წყალი და სარწყავი სისტემები სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის აუცილებელი პირობაა.

გარდა ამისა, გამოვყოფ სხვა მნიშვნელოვან ცვლილებებს. ერთ-ერთი ეხება საქართველოს კონსტიტუციას, რომელიც ბატონ ირაკლი კობახიძის ინიციატივით მომზადდა და განახლებული ფორმით მივიღეთ. ახალი თავი დაეთმო ადგილობრივ თვითმმართველობას, რაც გულისხმობს მოქალაქეების მეტად ჩართულობას ხელისუფლების საქმიანობაში, მონაწილეობის მიღებას კონკრეტული საკითხების გადაწყვეტაში. თუ გყავს კარგი ადგილობრივი ხელისუფლება, ის მაქსიმალურად შეძლებს თავისი ამომრჩევლის ინტერესების დაცვას.

არ შემიძლია, არ ვისაუბრო ბავშვთა კოდექსზე, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ბავშვების ცხოვრებაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ საბავშვო ბაღებში სწავლა და კვება უფასოა. მოსწავლეები სახელმწიფოსგან წიგნებს უსასყიდლოდ ღებულობენ, მათ ემსახურებათ ასევე ტრანსპორტი. უმაღლეს სასწავლებლებში ოცზე მეტი ფაკულტეტი გახდა უფასო და დღეს შეჭირვებულ ოჯახებს აღარ უწევთ იმაზე ფიქრი, შვილის სწავლის საფასური როგორ გადაიხადონ.

ჩვენ ვზრუნავთ დასაქმებულებზეც და საპენსიო რეფორმა, რომელიც პარლამენტმა მიიღო, მოქალაქეების ღირსეულ სიბერეს ემსახურება.

საპენსიო ასაკს მიღწეულ მასწავლებლებს, რომლებმაც შექმნეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ისტორია და აღზარდეს არაერთი თაობა, ორი წლის ხელფასის ოდენობა ერთად მიიღეს და სიცოცხლის ბოლომდე მათ ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი შეუნარჩუნდათ.

მინდა ხაზი გავუსვა მაღალმთიანი რეგიონების განვითარებას. აქ მცხოვრები მოქალაქეები არაერთი შეღავათით სარგებლობენ. მთის კანონის ამოქმედების შემდეგ ძალიან ბევრი დაბრუნდა სოფელში და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავდა. ჩვენ ვცდილობთ, დავამაგროთ ადამიანები სოფლად და შევუქმნათ მათ ყველა პირობა.

საკმაოდ რთულად იყო მიწის დაკანონების საკითხები და, საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, ეს პროცედურები გამარტივდა. 2016 წელს დაწყებული მიწის რეგისტრაციის რეფორმა ნამდვილად წარმატებულია და ჩვენს მოქალაქეებს მიეცათ შესაძლებლობა, დაირეგისტრირონ ის მიწებიც, რომლებზეც არ გააჩნიათ დოკუმენტაცია, მაგრამ მიწას იყენებენ.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა „ქართული ოცნების“ მონაპოვარია. ადამიანს ხშირად არ ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ საკუთარი ჯანმრთელობა გაეკონტროლებინა და ექიმთან დროულად მისულიყო. ამ პროგრამამ კი უამრავის სიცოცხლე იხსნა. საკმაოდ სოლიდური თანხებით ფინანსდება ოპერაციები, განსაკუთრებული ყურადღება ექცევათ ონკოლოგიურ პაციენტებს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მკურნალობის სრულ კურსს ისინი უფასოდ ჩაიტარებენ.

გაუმჯობესდა ასევე მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა მოწყვლადი ჯგუფებისთვის, პენსიონერებისთვის.

ფართოა ჩამონათვალი იმისა, რომლებიც უშუალოდ ჩვენი მოქალაქეების ინტერესებზეა ორიენტირებული, ყველას დასახელება, რა თქმა უნდა, შორს წაგვიყვანს. მოგახსენებთ, რომ სისტემური მიდგომები სახელმწიფოს მხრიდან ასახულია იმ საკანონმდებლო ცვლილებებში, რომლის თანამონაწილე გახლდით ოთხი წლის განმავლობაში.

- როგორც ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, რომელ პროექტებს გამოყოფდით, რომლებიც უშუალოდ თქვენი ჩართულობით განხორციელდა მუნიციპალიტეტში?

- მასშტაბური პროექტები, რომლებიც მუნიციპალიტეტში ხორციელდება, სხვადასხვა ფონდებიდან და საერთაშორისო საინვესტიციო ბანკებიდან ფინანსდება. ეს არის აზიის განვითარების ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციის ბანკი და ა.შ. ესენი არიან ჩვენი დიდი დონორები და მათთან ურთიერთობებში პარლამენტს წამყვანი როლი აკისრია. ამიტომ, როგორც პარლამენტის წევრი, ყველა საკითხის თანამონაწილე გახლდით. ბიუჯეტის დამტკიცების პროცესში დოკუმენტს იმ ჭრილშიც განვიხილავდი, თუ რა სიკეთეს შეჰმატებდა ჩემს სამაჟორიტარო ოლქებს. კორექტირების თვალსაზრისით, პროექტებში ხშირად იყო ჩემი ჩართულობა, ასევე მინისტრებისადმი თხოვნა, უფრო მეტი დაფინანსება რეგიონებზე მიმართულიყო.

ავტომაგისტრალი ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთას გზის პროექტის განხორციელებაზე, რომელზეც ექვს მილიარდამდე თანხა უნდა დაიხარჯოს, მთავრობას თანხმობა პარლამენტმა მისცა და ამ გადაწყვეტილების ერთ-ერთი მონაწილე, რა თქმა უნდა, მეც ვიყავი.

ძირულა-ხარაგაული-ფონა-ჩუმათელეთის გზის რეაბილიტაციისათვის, ჯერ კიდევ ჩემი გამგებლობის პერიოდში, უზარმაზარი შრომა გავწიეთ. ეს თემა არ დახურულა და როდესაც პარლამენტში გადავინაცვლე, საბოლოო შეთანხმებას მივაღწიეთ. ამ ეტაპზე გზის მოასფალტება ძირულა-ხარაგაულის მონაკვეთზე თითქმის დასრულებულია. მნიშვნელოვანია უბისა-ღორეშა-სარგვეში - ბაზალეთის გზის რეაბილიტაცია. ჩემი გამგებლობის პერიოდში ბაზალეთამდე დაიგო ასფალტის საფარი, უბისიდან ღორეშამდე - ბეტონის საფარი. დარჩენილი გვქონდა შუალედური 11 - კილომეტრიანი მონაკვეთი, რომელზეც სამუშაოები ამ ეტაპზე მიმდინარეობს. პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ცხრა მილიონ-ნახევარი ლარით დაფინანსდა.

აქტიურად ვთანამშრომლობდი განათლების სამინისტროსთან. მივაღწიეთ იმას, რომ კიცხში გვქონოდა ახალი სკოლა. სულ რამდენიმე დღის წინ ტენდერი გამოცხადდა მარელისის, ვერტყვიჭალისა და წყალაფორეთის საჯარო სკოლების რეაბილიტაციაზე. მიმდინარე წელს ასევე თექვსმეტ საჯარო სკოლაში სველი წერტილები მოწესრიგდება. თანამედროვე ტიპის შესაბამისი სკოლა ავაშენეთ ხიდარში.

2013 წელს, როდესაც ხარაგაულის გამგებელი გავხდი, მუნიციპალიტეტში რვა სკოლამდელი დაწესებულება ფუნქციონირებდა. ჩემი ადგილობრივ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, ათი ახალი ბაღი აშენდა. როგორც მაჟორიტარი დეპუტატი, ასევე აქტიურად ჩავერთე საღანძილისა და ვერტყვიჭალის ბაღების მშენებლობის საკითხებში.

უმძიმეს მდგომარეობაში იყო საავადმყოფო, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ ერთ ლარად გადასცა უცხოურ კომპანიას. მაშინდელი პრემიერ-მინისტრის, ბ-ნ ირაკლი ღარიბაშვილის, ძალისხმევით, შევძელით ის, რომ ავაშენეთ ახალი ამბულატორია და კლინიკა, რომელიც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ტექნიკითაა აღჭურვილი.

მოვახერხეთ, რომ მუნიციპალიტეტში ოთხი იუსტიციის სახლი აგვეშენებინა. ამას მივაღწიეთ იუსტიციის სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობით, რისთვისაც მადლობა მინდა, გადავუხადო იუსტიციის მინისტრს, ქ-ნ თეა წულუკიანს.

უდიდეს პრობლემას წარმოადგენს დაბის ტერიტორიაზე წყლის მიწოდება.

გაგრძელება ▶ 2 გვ.

„ეზაღ ვარ, ჩემი ცოდნა და გამოცდილება ხარაგაულის განვითარებას მოვახმარო“

დასაწყისი ▶ 1 გვ.

მოსახლეობას მინდა ვაცნობო, ჩემი და პარლამენტის წევრ პაატა კვიჟინაძის (საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარობის კანდიდატი) აქტიურობით, წყლის სისტემის მოწყობის მიზნით, ტენდერი უკვე გამოცხადდა და მოსახლეობა 24-საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს. დაბას აქვს წყალარინებისა და კანალიზაციის პრობლემაც, რაზეც აქტიური საუბრები მქონდა ინფრასტრუქტურის სამინისტროში. მივიღე შეთანხმება, რომ მომზადდეს წინასაპროექტო სამუშაოები და დავაზუსტოთ, რა მოცულობის თანხების მობილიზება გახდება საჭირო.

ძალიან გადატვირთულია დაბის ტერიტორია. აუცილებელია, გაკეთდეს ალტერნატიული გზა. ეს საკითხი უახლოეს მომავალში დადებითად გადაწყდება. რეაბილიტაცია ჩაუტარდება ხანდებიდან ბაზალეთში შესასვლელ მონაკვეთს ბაზრის ტერიტორიამდე. აღნიშნულ პროექტზე მხარდაჭერა გამოგვიცხადა ვიცე-პრემიერმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, ქ-ნ მაია ცქიტიშვილმა და მუნიციპალური განვითარების ფონდის ხელმძღვანელმა ბ-ნ გიორგი შენგელიამ.

აუცილებლად რეაბილიტირდება საჩხერე-ლიჩი-ნადაბური-ხევის გზა, ამ საკითხის მოგვარებაში აქტიურად ვარ ჩართული საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარობის კანდიდატ პაატა კვიჟინაძესთან ერთად. ჩვენ ერთად მუშაობის კარგი გამოცდილება გვაქვს და სამომავლოდაც გამოვიყენებთ ამ შესაძლებლობას.

ზოგადად რეგიონებს ძალიან დიდი ყურადღება ექცევა და, თუ ადგილზე გამართული მენეჯმენტი არაა, იმ გამოწვევებს, რომელიც ცენტრალური ხელისუფლებიდან მოდის, მოსახლეობამდე ვერ მიიტან. ამიტომ მოქალაქეებმა კარგად უნდა გააანალიზონ, ვის ირჩევენ და ვის ანდობენ მომავალს.

-რას გვეტყვით გაზიფიცირებასთან დაკავშირებით. უახლოეს მომავალში მუნიციპალიტეტის რომელი სოფლების გაზიფიცირება იგეგმება?

-გაზიფიცირებისთვის სახელმწიფო ყოველ წელს 20 მილიონამდე თანხას გამოყოფდა. თუმცა ეს თანხები, მაშინდელი რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის ბ-ნ გრიგოლ ლილუაშვილის ინიციატივით, გაიზარდა და გაზიფიცირების ტემპი რეგიონებში დაჩქარდა. როგორც ამ კომიტეტის წევრი, პირადად ვიყავი ჩართული საკითხის განხილვაში. ამჟამად ხარაგაულში ბუნებრივი აირით დაბა, ჩხერი, ბაზალეთი, ჯაფაროული, თეთრაწყარო და ისლარი სარგებლობს. გაზიფიცირების სამუშაოები მიმდინარეობს საქარიქედსა და ფარცხნალში. მიმდინარე წელს უნდა დასრულდეს ასევე ვარძიის მაგისტრალის მოწყობაც. გასულ წელს დაიქსელა კიცხი და ლაშე, სადაც უახლოეს მომავალში ბუნებრივი აირი ჩაირთვება. რაც შეეხება სხვა სოფლებს, პროექტი და წინასაპროექტო სამუშაოები თითქმის ყველგან გაკეთებულია და მაგისტრალის მოწყობა ეტაპობრივად მოხდება. ჩხერიმელას ხეობის სოფლებში გზის მშენებლობა რომ დასრულდება, რა თქმა უნდა, გაზიფიცირებაც განხორციელდება.

- სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო არაერთ პროექტს ახორციელებს. როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო იმისათვის, რომ ხარაგაული ამ სფეროში უფრო აქტიურად ჩაერთოს?

-ქვეყნის კეთილდღეობისთვის სოფლის მეურნეობის სექტორი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და მის მიმართ ინტერესი საგრძნობლად გაზრდილია. ბოლო პერიოდში მამაპაპისეულ მიწებს ძალიან ბევრი დაუბრუნდა. ხარაგაულში რამდენიმე პროექტი დაფინანსდა, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს. რაც შეეხება იმას, რომ დაინტერესება უფრო გაიზარდოს, მოქალაქეებს უნდა ვაჩვენოთ გზები, როგორ შეუძლიათ ხელმისაწვდომი გახდეს მათთვის ეს პროგრამები და როგორ მოიპოვონ გრანტები. ძლიერი სახელმწიფო დგას ძლიერ მეწარმეზე, ძლიერ ფერმერზე და, სწორედ ამ მიმართულებით, ჩვენი ქვეყანა წინ მიიწევს.

- მოსახლეობის უმრავლესობა უკმაყოფილებას გამოთქვამს სოციალური დახმარების დანიშვნის თაობაზე. საუბარი იყო, ამ საკითხის დარეგულირება ადგილობრივ თვითმმართველობებს დაევალებოდა. არის რაიმე სიახლე ამ მიმართულებით?

- ჩემი ყველაზე დიდი გულისტკივილი გახლავთ ის, რომ მე-9 მოწვევის პარლამენტმა ამ საკითხის გადაჭრა ვერ შეძლო. აუცილებელი და საჭიროა, ადგილობრივმა თვითმმართველობამ განსაზღვროს მის ტერიტორიაზე მცხოვრებ რომელ ოჯახს ეკუთვნის ფულადი დახმარება. დარწმუნებული ვარ, მეათე მოწვევის პარლამენტი ამას გააკეთებს და მაქსიმალურად იქნება მოქალაქეთა ინტერესები დაცული. ჩვენი დიდი სურვილია, სოფლად მცხოვრებმა ადამიანებმა გამარტივებულად შეძლონ ყველა სიკეთის მიღება, რასაც ხელისუფლება მათთვის აკეთებს.

-რამდენად ხშირი კომუნიკაცია გქონდათ ადგილობრივ ხელისუფლებასთან?

-საკმაოდ საქმიანი ურთიერთობები მქონდა დეპუტატებთან. ნამდვილად აქტიური საკრებულოს თავმჯდომარე გვყავს და მინდა, მადლობა გადავუხადო ქ-ნ მანანა ბარბაქაძესა და საკრებულოს წევრებს წარმატებული თანამშრომლობისათვის. რაც შეეხება აღმასრულებელ ხელისუფლებას, ხარვეზები იყო თანამშრომლობაში. იმ დონეზე ვერეოდი მათს საქმიანობაში, რასაც ჩემი სტატუსი მოითხოვდა. არ მომწონდა, რომ მუნიციპალიტეტში ამდენი დაუსრულებელი პროექტებია. ამაზე ბევრჯერ მქონდა საუბარი და შემიძლია ვთქვა, რომ ბოლო წლებში 4-5 სამსახურის გაუმართავმა მუშაობამ ბევრი თანხა დააკარგვინა ხარაგაულს. შეგვეძლო, ბევრად მეტი პროექტი განხორციელებულიყო, მაგრამ რა თანხებიც იყო გამოყოფილი, მათი ათვისებაც ვერ ხერხდებოდა. რა თქმა უნდა, მერიაში ძალიან ბევრი კვალიფიციური კადრი მუშაობს, რომლებიც თავისი საქმის პროფესიონალები არიან. მათთან ერთად ვმუშაობდი რამდენიმე წელი და ვიცი ამ ადამიანების შესაძლებლობები. ვისურვებდი, რომ მათთან ერთად კიდევ ბევრი გავაკეთო ხარაგაულისთვის. მოსახლეობას ვაძლევ პირობას, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ დაწყებული პროექტები დასრულდეს, ბევრი ახალიც დაიგეგმოს და, საქართველოს მასშტაბით, ჩვენი მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი წარმატებული იყოს.

-რამდენად აქტიურად მუშაობდა ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო? ძირითადად რა პრობლემების მოგვარებას ითხოვდნენ მოქალაქეები და ხდებოდა თუ არა რეაგირება?

-გამორჩეულად აქტიური იყო ბიურო, მისი ხელმძღვანელი ჟანა ნემსაძე და დასაქმებული კოლექტივი, როგორც ხარაგაულში ასევე ბაღდათში. ყოველდღიურ რეჟიმში ვემსახურებოდით მოქალაქეებს, რომლებიც ძირითადად სოციალური საკითხებისა და დასაქმებისთვის მოგვმართავდნენ. ასევე ითხოვდნენ ჯანდაცვისა და სასჯელაღსრულების მიმართულებით შუამდგომლობებს. ჩვენთან შემოსული არც ერთი განცხადება რეაგირების გარეშე არ დარჩენილა და კომპეტენციის ფარგლებში ყველას ვეხმარებოდით. ციფრები, თუ რამდენ ადამიანზე გვაქვს პასუხები გაცემული, ნამდვილად შთამბეჭდავია.

- წლებია, პოლიტიკაში მოღვაწეობთ და საკმაოდ დიდი გამოცდილება დაგიგროვდათ. პარლამენტში კი თქვენი უფლებამოსილების ვადა იწურება, რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?

-პოლიტიკური ველიდან გასვლას არ ვაპირებ. „ქართული ოცნების“ გუნდი უახლოეს მომავალში გადაწყვეტს, სად განვაგრძობ საქმიანობას. თუკი საჭირო იქნება, მზად ვარ, ჩემი ცოდნა და გამოცდილება ხარაგაულის განვითარებას მოვახმარო. ჩვეულებრივ ოჯახში გავიზარდე, სადაც შრომა ყოველთვის ფასდებოდა და ხარაგაულის მოსახლეობის 99% დღეს ასე ცხოვრობს. ამიტომ მეც მათნაირი ვარ, მათ გვერდით ვიქნები და დავიცავ თითოეული მოქალაქის ინტერესებს. სახელმწიფოს სტრატეგიაა, იყოს განსხვავებული აზრი, მაგრამ არ დავუშვებთ, ქვეყანას მართავდნენ ისეთი პოლიტიკოსები, რომლებსაც ამბიციები აქვთ, სავარძლებში მოკალათდნენ და ნებისმიერი მათი დაპირება დაპირებად დარჩეს. ბოლომდე ვიზიარებთ ჩვენი ევროპელი თუ ამერიკელი მეგობრების პათოსს, რომ ეს არჩევნები საქართველოსთვის იქნება „ტესტი“. დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნება“ არჩევნებს მოიგებს სამართლიანად და არა მუქარითა და შანტაჟით, როგორც ამას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ აკეთებდა. წარსულს ჩაბარდა ეს დრო და ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარი სწორედ სიტყვის თავისუფლებაა. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, ახალი რეალობა შექმნა ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებისათვის. ასევე არ შემიძლია არ ვისაუბრო მის დიდსულოვნებაზე. მისი ოჯახის მხრიდან, წლების განმავლობაში სისტემატურად ხორციელდება უპრეცედენტო ქველმოქმედება. ბ-ნ ბიძინა ივანიშვილის ფინანსური მხარდაჭერით ხარაგაულში რამდენიმე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს რესტავრაცია ჩაუტარდა, აშენდა ბორითში კატასტროფის ცენტრი, რომელმაც არაერთი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა. ცენტრმა 2012 წელს დაიწყო ფუნქციონირება და მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაარბიეს შენობა, თუმცა მისი აღდგენა კვლავ მოხერხდა. ბიძინა ივანიშვილი პანდემიის დროს მსოფლიოში ფილანთროპიისა და ქველმოქმედების სათავეშია. პანდემიამ მსოფლიოში უამრავი ადამიანი იმსხვერპლა. ამ ფონზე ყველა ვხედავთ საქართველოში როგორი სტაბილური ვითარებაა. ჩვენმა ხელისუფლებამ, ბატონი გიორგი გახარიას ხელმძღვანელობით, მოახერხა, რომ მთელი მსოფლიოსთვის სამაგალითონი ვყოფილიყავით.

„ქართული ოცნების“ მიერ განხორციელებული ცვლილებებითა და პროგრამებით, ჩვენი ქვეყანა განვითარების სწორ გზაზე დგას და ასე გაგრძელდება შემდგომაც.

-სულ რამდენიმე ხანში საარჩევნო პროცესები აქტიურ ფაზაში შევა. რას იტყოდით თქვენს ოპონენტებზე?

- სიცრუეზე აგებული და ლანძღვით გაჯერებული საარჩევნო კამპანია მათ სასურველ შედეგს ვერ მოუტანს. სჯობს მოსახლეობას მომავლის გეგმებზე ესაუბრონ და დააჯერონ, რომ „ნანობენ“ იმ წარსულ პოლიტიკურ საქმიანობას, რითაც ქვეყანა და ხალხი დააზარალეს, დაატერორეს და ფიზიკურად გაანადგურეს. თითქმის მათი ყველა მაღალჩინოსანი ბრალდებულია, ზოგიერთ მათგანზე კი სისხლის სამართლის პროცედურები მიმდინარეობს. ჩვენი ოპონენტები სხვის მიმართ ხშირად იყენებენ სიტყვა „კორუმპირებულს“, თუმცა ამ ტერმინით ხალხს ისევ ისინი ახსენდება.

მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება. კარგი ღვინო რომ დააყენო, თხლეც საჭიროა!

ეკა შავიძე

დებატების კლუბში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ

ხარაგაულში პროექტის „დებატები უკეთესი განათლებისთვის“ მონაწილეები დაჯილდოვდნენ. შემაჯამებელ ღონისძიებას ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მარინა ვეფხვაძე და საჯარო სკოლის დირექტორები დაესწრნენ.

როგორც შეხვედრაზე „საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელმა თინათინ ცერცვაძემ აღნიშნა, პროექტში საქართველოს მასშტაბით ორას ოცდაორი მოსწავლე ჩაერთო და ხარაგაულიდან ონლაინ საჯარო გამოსვლების კონკურსში გამარჯვებულთა ათეულში დაბის მე-2 და მე-3 საჯარო სკოლების მოსწავლეები: გვანცა ყრუაშვილი და ანა კვინიკაძე მოხვდნენ.

გამოვლინდნენ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებიც.

ლუკა ცისკაძე - ყველაზე აკადემიური მომხსენებელი;

მარიამ რიკაძე - საინტერესო მასალების წარმდგენი;

გურამ ლურსმანაშვილი-ინტელექტუალური მომხსენებელი;

ანი მეიფარიანი - ყველაზე ბევრი მაგალითის ავტორი.

მოსწავლეებს: ნია იჩქიტიძეს და ლუკა ცისკაძეს გადაეცათ სერტიფიკატები პროექტში აქტიური მონაწილეობისათვის, რომელიც განხორციელდა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ.

დებატების კლუბის მონაწილეები დაჯილდოვდნენ სერტიფიკატებითა და სხვადასხვა ფასიანი საჩუქრებით. ასევე, სერტიფიკატები და სასაჩუქრე ბარათები მიიღეს აქტიურმა პედაგოგებმა (მარინე ხვედელიძე - მე-3 საჯარო სკოლა; თამარ მაღლაფერიძე - მე-2 საჯარო სკოლა; ინგა ვეფხვაძე - მარელისის საჯარო სკოლა; სოფიკო ლომიძე - ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა; ეკატერინე ბარბაქაძე - ბორითის საჯარო სკოლა).

გარდა ამისა, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს (ხელმძღვანელი ჟანა ნემსაძე) ორგანიზებით, დებატებში მონაწილე ხარაგაულელი მოსწავლეებისათვის მოეწყობა მათთვის სასურველი ღონისძიება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტი“ აღნიშნულ პროექტს საქართველოს პარლამენტისა და გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის მხარდაჭერით ახორციელებს. პროგრამა თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და ეფუძნება პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციას.

ხარაგაულში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ შესაბამისი ღონისძიებები ტარდება

ბაღდათი -ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი ხარაგაულში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო. პარლამენტის წევრი დაინტერესდა, რა ღონისძიებები ტარდება ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში.

სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენლების ინფორმაციით, მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს მონიტორინგი ფაროსანას გავრცელებისა და რიცხოვნობის დასადგენად. იმ ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც მავნებელი მწერის გარკვეული რაოდენობა დაფიქსირდა, ხაფანგები (ფერომონები) განთავსდა არანაყოფიერ, არამოყვავილე ხე მცენარეებზე, რომლის წამლობა ცივი შესხურებით ყოველ 2 კვირაში ხორციელდება. გარდა ამისა, მონიტორინგის შედეგების მიხედვით, პირველ ეტაპზე შეწამვლა იმ ადმინისტრაციულ ერთეულებში ხდება, სადაც მავნებელი მწერის გავრცელების არეალი მაღალია.

მნიშვნელოვანია, რომ თერმული ნისლით წამლობა ადამიანისათვის, ცხოველებისთვის, ფრინველებისა და ფუტკრისათვის უსაფრთხო და უვნებელი პროცესია.

აღსანიშნავია, რომ, ფაროსანასთან ეფექტიანი ბრძოლის მიზნით, სამუშაოები მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ინტენსიურად განხორციელდება.

300 - ლარიან ერთჯერად დახმარებას კიდევ 80 ათასი თვითდასაქმებული მიიღებს

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 300-ლარიან ერთჯერად დახმარებას კიდევ 80 ათასი თვითდასაქმებული მიიღებს. ეს ის მოქალაქეები არიან, რომლებმაც დოკუმენტების შეგროვების თვალსაზრისით ყველა მოთხოვნა ვერ დააკმაყოფილეს. მთავრობას სულ 250 ათასმა თვითდასაქმებულმა მიმართა, აქედან დახმარება 170 ათასს ჩაერიცხა, რომელთაც დოკუმენტაცია სრულად ჰქონდათ შევსებული.

300 - ლარიანი ერთჯერადი დახმარების შესახებ გადაწყვეტილება მთავრობამ კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის დროს მიიღო.

გარდა ამისა, ექვსი თვის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებზე ყოველთვიურად იცემა ფულადი კომპენსაცია.

დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური სპეცავტომანქანას შეიძენს

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა საკრებულოს დეპუტატებს საბიუჯეტო ცვლილება წარუდგინა. როგორც მომხსენებელმა განმარტა, ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას“ ნარჩენების შემგროვებელი და გადამზიდი სპეცავტომანქანის შესაძენად 30 000 ლარი ესაჭიროება. მისივე თქმით, ავტომობილი, რომელიც 2008 წელს შევიდა ექსპლუატაციაში, მწყობრიდან გამოვიდა და ნარჩენების გატანა დროულად ვერ ხერხდება.

საბიუჯეტო ცვლილების თანახმად, ა(ა)იპ „ხარაგაულის ჯანდაცვის ცენტრის“ სამ თანამშრომელს 200 ლარით გაეზრდება ხელფასი. ამ მიმართულებით 5 400 ლარი გამოიყოფა. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში შექმნილი ეპიდვითარების გამო განსაკუთრებული დატვირთვით მუშაობს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი და სწორედ ამიტომ დადგა დღის წესრიგში ხელფასების ზრდა.

წარმოდგენილ საბიუჯეტო ცვლილებას დეპუტატები 7 სექტემბერს გამართულ საკრებულოს სხდომაზე მიიღებენ.

ხაშური-ზესტაფონის მატარებლის მოძრაობა 24 აგვისტოს აღდგება

ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის კობა ლურსმანაშვილისა და პარლამენტის წევრ პაატა კვიჟინაძის ინიციატივით, საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტში შეხვედრა მოეწყო. მხარეებმა ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონის საგარეუბნო მატარებლის აღდგენის საკითხზე იმსჯელეს. პარლამენტის წევრებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონის საგარეუბნო მატარებელი ჩხერიმელას ხეობის სოფლებში მცხოვრებთათვის გადაადგილების ერთადერთ ხელმისაწვდომ წყაროს წარმოადგენს და მისი მოძრაობის დროებითი შეზღუდვით ადგილობრივები უდიდესი პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. საბოლოოდ მხარეები შეთანხმდნენ და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ 24 აგვისტოს მოძრაობა აღდგება. მგზავრებს, კორონავირუსის პრევენციის მიზნით, გარკვეული რეგულაციების დაცვა მოუწევთ. პირბადის გარეშე ისინი მატარებელში არ დაიშვებიან, ბავშვის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლის წარდგენა იქნება საჭირო. გარდა ამისა, ყველა ბაქანზე, მოხდება სავალდებულო თერმოსკრინინგის გავლა და 37 გრადუსზე მაღალი ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში პირი მატარებელში არ დაიშვება.

ზესტაფონის, ხარაგაულისა და ხაშურის მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურები განახორციელებენ ღონისძიებებს, რომლებიც მგზავრების ჯანმრთელობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

აქვე მოგახსენებთ, რომ ცვლილება შევიდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტში. ცვლილების თანახმად, 4 000 ლარი გამოიყოფა ორი თანამშრომლის ასაყვანად, რომლებიც ხაშური-ხარაგაული- ზესტაფონის სამგზავრო მატარებელში საჭირო ეპიდზედამხედველობას განახორციელებენ.

„დევების“ ქანდაკებებს რეაბილიტაცია ჩაუტარდება

ხარაგაულში „ დევების“ მონუმენტის რეაბილიტაცია იგეგმება. ამის შესახებ დეპუტატებმა 17 აგვისტოს გამართულ ბიუროს სხდომაზე იმსჯელეს. საკითხი საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა წარმოადგინა. როგორც მომხსენებელმა განმარტა, ეს ადგილი მუნიციპალიტეტის სავიზიტო ბარათია და უამრავი ადამიანი სტუმრობს. ვლადიმერ გელაშვილის თქმით, აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად ორმოცი ათასი ლარი გამოიყოფა.

წარმოდგენილ საკითხს დეპუტატების უმრავლესობამ მხარდაჭერა გამოუცხადა.

17 წლამდე პავშვები ერთჯერად 200 - ლარიან დახმარებას მიიღებენ

საქართველოს ყველა მოქალაქე 0-დან 17 წლამდე სახელმწიფოს მხრიდან 200 - ლარიან ერთჯერად დახმარებას მიიღებს. თანხების გაცემა ბავშვის ერთ-ერთი მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ ელექტრონულ პორტალზე daxmareba.moh.gov.ge განაცხადის შევსების საფუძველზე მოხდება.

იმ შემთხვევაში, თუ პირი ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის გავლას ვერ ახერხებს, უნდა მიმართოს:

სოციალური მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულს;

იუსტიციის სახლებს;

ადგილობრივ თვითმმართველობებს;

„ლიბერთი ბანკის“ ფილიალებს.

რეგისტრაცია პირველ დეკემბრამდე გაგრძელდება და თანხების გაცემა სექტემბრიდან დაიწყება.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲡ ᲝᲗᲮᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲐᲚᲣᲠ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲡ

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ზამთარში კომუნალურ გადასახადებზე სუბსიდია გრძელდება და ოთხი თვის განმავლობაში - ნოემბერში, დეკემბერში, იანვარსა და თებერვალში -ელექტროენერგიისა და გაზის საფასურის გადახდა მოქალაქეებს არ მოუწევთ. კომუნალური გადასახადები დაუფინანსდება მათ, ვისაც გახარჯული აქვთ ელექტროენერგია 200 კვტ-ზე და გაზი 200 კუბურ მეტრზე ნაკლები.

იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი გათავისუფლდება ელექტროენერგიის გადასახადისაგან, ის ასევე არ გადაიხდის დასუფთავებისა და წყლის საფასურს.

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲗᲔᲥᲕᲡᲛᲔᲢ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲡᲕᲔᲚᲘ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის კობა ლურსმანაშვილისა და პარლამენტარ პაატა კვიჟინაძის („ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ საჩხერე-ჭიათურა-ხარაგაულის მაჟორიტარობის კანდიდატი) აქტიური მუშაობით, ხარაგაულის მერიას მიეცა თანხმობა, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით მოხდეს: სარგვეშის, ჩრდილის, მარელისის (მე-2 კორპუსი), წიფის (მე-2 კორპუსი), ხუნევის, ხევის, ბორისა და დაბის მე-2 საჯარო სკოლებში სველი წერტილების რეაბილიტაცია.

ამ ეტაპზე ხელშეკრულება უკვე გაფორმდა შპს „ტუკასთან“, რომელიც სამუშაოებს ბორის საჯარო სკოლაში განახორციელებს. ასევე შპს „ლაკა“ უზრუნველყოფს მე-2 საჯარო სკოლაში სველი წერტილის მოწყობას. რაც შეეხება სხვა სკოლებს, მიმდინარეობს დოკუმენტაციების მომზადება და ხელშეკრულებები უახლოეს დღეებში გაფორმდება. აქვე მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს სველი წერტილები მუნიციპალიტეტის 16 საჯარო სკოლაში მოეწყობა. ამჟამად სამუშაოები აქტიურ ფაზაშია წიფის, ბორითის, ვაშლევის, ვარძიის, ვახანის, ნებოძირის, ლაშისა და ბაზალეთის საჯარო სკოლებში.

საერთო ჯამში, სკოლებში სველი წერტილების რეაბილიტაციის მიზნით, 800 000 ლარამდე დაიხარჯება.

ᲔᲙᲐ ᲨᲐᲕᲘᲫᲔ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲣᲪᲕᲔᲚ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲐᲡᲣᲠᲘ ᲓᲐᲣᲤᲘᲜᲐᲜᲡᲓᲔᲑᲐᲗ

ყველა სტუდენტი, რომელიც სოციალურად დაუცველთა ბაზაში 150 000 ქულამდე კატეგორიაშია, სახელმწიფოს მხრიდან 2020-2021 სასწავლო წლის ერთი სემესტრის სრულ ანაზღაურებას მიიღებს. ამავე კატეგორიის სტუდენტებს, რომლებსაც სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო სტუდენტის სტატუსი აქვთ შეჩერებული, ერთი წლის სწავლის საფასური დაუფინანსდებათ.

აღნიშნული შეღავათებით 33 000-ზე მეტი სტუდენტი ისარგებლებს.

ᲥᲘᲖᲐᲜᲨᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, (უფროსი ირინე ჩხეიძე) კულტურისა და დასვენების პარკში მიზანში სროლის ტურნირი (ტირი) გაიმართა. ტურნირში ერთმანეთს ორმოცდაათამდე ხარაგაულელი მოხალისე მსროლელი ეჯიბრებოდა და მასში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეეძლო. რაც შეეხება ასაკს, ყველაზე მცირე ასაკის 11 წლის, ხოლო ყველაზე უფროსი 60 წლის მონაწილე იყო.

გამოვლინდნენ გამარჯვებულები. ქალბატონებს შორის პირველი და მეორე ადგილი ნინო გველესიანმა და მარიამ შარიქაძემ გაინაწილეს, მესამე ადგილი კი ფატი ბაბლიძემ დაიკავა. ვაჟებს შორის საუკეთესო შედეგი, ტურნირის ყველაზე პატარა მონაწილემ, 11 წლის დემეტრე დუშუაშვილმა აჩვენა. მეორე ადგილი -ზურაბ იჩქიტიძემ, მესამე ადგილი კი ალექსანდრე გველესიანმა დაიკავა.

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ შესაბამისი სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით, რომლებიც მათ ხარაგაულის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა გადასცა. პროექტის მენეჯერის, უჩა ცხადაძის, ინფორმაციით, უახლოეს მომავალში დაგეგმილია შეჯიბრი „სპორტინგში“, რომელიც პროფესიონალურ დონეზე ჩატარდება და მონაწილეობას შესაბამისად მომზადებული მსროლელები მიიღებენ.

მარიამ შარიქაძე

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲦᲘᲐ ᲪᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲙᲘᲜᲝᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ

მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა, არსებული ეპიდვითარებიდან გამომდინარე, ღია ცის ქვეშ, კინოთეატრის წინ, კინოჩვენება რამდენჯერმე გამართა. პირველად მაყურებელმა ფილმი „საოცრება“ ნახა, რომელმაც ყველაზე მეტად პატარები დააინტერესა. ჩვენება მოეწყო ასევე ფრანგული დრამისა ,,ხელშეუხებელნი“.

„პანდემიის გამო ყველა აქტივობა გაჩერდა ხარაგაულში. მას შემდეგ, რაც სიტუაცია დასტაბილურდა, დავიწყეთ მსგავსი აქტივობების განხორციელება. პირველი ფილმი სპეციალურად ავარჩიეთ პატარა მაყურებლისთვის, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ სულიერი საზრდო“,- აღნიშნა ირინე ჩხეიძემ.

პროექტის მენეჯერი კინოჩვენებების გაგრძელებას აანონსებს და ამბობს, რომ ფილმები ყველა ასაკის მაყურებლებისთვის იქნება შერჩეული.

მარიამ შარიქაძე

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲐᲜ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲡ ᲛᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲠᲔᲟᲘᲣᲚᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲛᲘᲣᲗᲬᲔᲕᲗ

2020-2021 სასწავლო წლის დაწყებისთვის განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროებმა სკოლებისთვის რეკომენდაციები შეიმუშავა. არსებული რეკომენდაციების საფუძველზე, ახალი სასწავლო წელი 15 სექტემბერს განახლდება. სავალდებულოა მოსწავლეებს შორის ერთმეტრიანი დისტანციის დაცვა და შენობაში შემსვლელი ყველა პირისთვის, გარდა მოსწავლისა, პირბადის ტარება. ადგილზე განხორციელდება თერმოსკრინინგი, ასევე სველი წერტილების სანიტარული დამუშავება ყოველი დასვენების შემდეგ. სიცხიანი და რესპირატორული სიმპტომების მქონე მოსწავლეებისთვის დროებითი საიზოლაციო ოთახი გამოიყოფა. გარდა ამისა, თითოეული სკოლის სპეციფიკისა და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც ყველა სკოლას საშუალებას მისცემს, ინდივიდუალური შესაძლებლობების, მოსწავლეთა რაოდენობისა და სასკოლო ფართს შორის თანაფარდობის გათვალისწინებით, დაგეგმონ სასწავლო პროცესი და თავად განსაზღვრონ გაკვეთილის ხანგრძლივობა. საჭიროების შემთხვევაში, შერეული მოდელის დანერგვისას, V-VI კლასებში დისტანციური სწავლება შესაძლებელი იქნება კვირაში 1 დღე, VII – XI კლასებში - 2 დღე, ხოლო XII კლასში – 3 დღე. შერეული სწავლების მოდელი შეთანხმებული უნდა იყოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან და საგანმანათლებლო რესურსცენტრთან.

ᲔᲙᲐ ᲨᲐᲕᲘᲫᲔ

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲨᲘ ᲣᲤᲐᲡᲝ ᲡᲙᲠᲘᲜᲘᲜᲒ ᲐᲥᲪᲘᲐ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ

კლინიკა „ჰერას“ მაღალკვალიფიციური მედპერსონალის ჩართულობით და მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ორგანიზებით, ხარაგაულში სკრინინგის უფასო აქცია გაიმართა.

აქციის ფარგლებში ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი იყო უახლესი ექოსკოპიური აპარატით სარძევე ჯირკვლის მამოგრაფიული გამოკვლევა. სახელმწიფო პროგრამაში 40-დან 70 წლამდე ასაკის სამოცამდე ქალბატონი ჩაერთო.

შეგახსენებთ, რომ სკრინინგი ითვალისწინებს მამოგრაფიულ გამოკვლევას, პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში კი - ძუძუს ექოსკოპიასა და მამოლოგის მიერ გასინჯვას, საჭიროებისამებრ ციტოლოგიურ კვლევას. ძუძუს კიბოს სკრინინგი ორ წელიწადში ერთხელ ტარდება.

მარიამ შარიქაძე

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12